

ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების დამატებითი სერვისის "YOUTUBE" აპლიკაციის პირობები

1. სს „სილქნეტის“ აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ქვემოთ მოცემული პაკეტებით, სილქ ტვ მომსახურებაზე ავტომატურად გაუაქტიურდებათ დამატებითი სერვისი "YOUTUBE":
 - რეგიონებში ორმაგი შეთავაზების ყველა პაკეტისათვის (youtube სერვისი შენარჩუნდება მათ შორის ორმაგის კომბინაციაზე ჯეოსელის დამატებისას და „სილქ + 1“ და „სილქ + 2“-ში ჩართვისას)
 - თბილისში 50 ლარი და ზემოთ ღირებულების ორმაგი შეთავაზების პაკეტისათვის (youtube სერვისი შენარჩუნდება მათ შორის 50 ლარი და ზემოთ ღირებულების ორმაგის კომბინაციებზე ჯეოსელის დამატებისას და „სილქ + 2“ ში ჩართვისას, ხოლო „სილქ + 1“ ში ჩართვისას ყველა პაკეტისათვის არის გათვალისწინებული youtube სერვისი).
2. "YOUTUBE" აპლიკაციით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის საშუალებით;
3. იმისათვის, რომ აბონენტს გაუაქტიურდეს სილქ ტვ მომსახურებაზე YOUTUBE აპლიკაცია, აუცილებელია სარგებლობდეს აქციით "სილქ +1"; ხოლო რეგიონებში აპლიკაციით სარგებლობა დასაშვებია ასევე ოპტიკური ორმაგი შეთავაზების აბონენტებისათვის, რომლებიც დარეგისტრირდებიან ორმაგ შეთავაზებაზე სერვისის დამატებით ჩართვებიან ორმაგ შეთავაზებაზე 2019 წლის 6 მარტიდან ან აღნიშნულ თარიღამდე რეგისტრირებული აბონენტები, რომლებთანაც არ მომხდარა ორმაგი შეთავაზების ინსტალაცია"; აღნიშნული აქციით გათვალისწინებული პაკეტების აქტივაცია (იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს "YOUTUBE" მხარდაჭერის მქონე დეკოდერით) ავტომატურად გამოიწვევს სილქ ტვ მომსახურებაზე "YOUTUBE" აპლიკაციის გააქტიურებას. ასევე, რეგიონებში ორმაგი შეთავაზებით მოსარგებლე აბონენტებს, რომლებსაც ინსტალირებული აქვთ YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერი, 2019 წლის 6 მარტიდან ავტომატურად გაუაქტიურდებათ "YOUTUBE" აპლიკაცია.
4. "YOUTUBE" აპლიკაციით სარგებლობისათვის, აუცილებელია შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერი; იმ შემთხვევაში თუ აბონენტი სარგებლობს ისეთი დეკოდერით, რომელსაც არ აქვს შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა, რომელიც საჭიროა "YOUTUBE" აპლიკაციით სარგებლობისათვის და სურს აპლიკაციით სარგებლობა, მოხდება აბონენტისთვის "YOUTUBE" მხარდაჭერის მქონე დეკოდერის შეთავაზება; აბონენტის სურვილის შემთხვევაში ქოლ ცენტრის მეშვეობით პროგრამულად დაფიქსირდება აბონენტთან არსებული დეკოდერის შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის მქონე დეკოდერით ჩანაცვლების შესახებ მოთხოვნა. სილქ ტვ მომსახურების დროებით შეჩერებისას ავტომატურად შეიზღუდება "YOUTUBE" აპლიკაციის სერვისი.
5. აბონენტთან დაინსტალირებული STB დეკოდერის ცვლილება ახალი (YOUTUBE მხარდაჭერის მქონე) დეკოდერით ხდება დამატებითი გადასახდელის გარეშე.
6. ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების აბონენტთან, რომელიც სარგებლობს "სილქ +" აქციის პაკეტით (და გააქტიურებული აქვს YOUTUBE აპლიკაციის სერვისი), ინსტალირებული STB დეკოდერის ჩანაცვლება YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერით (ძველი STB დეკოდერის დაბრუნება და ახალი - YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის ინსტალაცია) მოხდება აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე, ადგილზე შესაბამისი ჯგუფის მისვლით ან აბონენტის მიერ ტექნიკურ სერვის ცენტრში მიმართვის გზით. ორმაგი შეთავაზებით მოსარგებლე რეგიონების აბონენტებს, YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის მოთხოვნის შემთხვევაში (დამატებითი გადასახადის საფუძველზე, არსებული დეკოდერის ახლით შეცვლის მომსახურების სატარიფო გეგმის შესაბამისად) არსებული STB დეკოდერი ჩაუნაცვლებათ YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერით, რომლის ინსტალაციის შემდგომ გაუაქტიურდებათ YOUTUBE აპლიკაცია.
7. STB დეკოდერის ინსტალაციისთვის დადგენილი გადასახდელის გარეშე შესაცვლელი დეკოდერის რაოდენობა მე-6 პუნქტით განსაზღვრული აბონენტებისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთს (1); ყოველი მომდევნო STB დეკოდერის (YOUTUBE მხარდაჭერის მქონე) ინსტალაციისას აბონენტს დაერიცხება დეკოდერის ინსტალაციის შესაბამისი ღირებულება;
8. გარდა მე-6 პუნქტით განსაზღვრული აბონენტების კატეგორიისა, ოპტიკური სილქ ტვ-ის მიმღებ აბონენტს (მიუხედავად იმისა, თუ სილქ ტვ მომსახურების რომელი პაკეტით სარგებლობს), ასევე შეუძლია YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერზე მოთხოვნის დაფიქსირება; აღნიშნულ შემთხვევაში აბონენტს დაერიცხება STB დეკოდერის ინსტალაციის სტანდარტული ღირებულება პირველი ასეთ დეკოდერზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი ცალი STB დეკოდერის ფასს მოიცავს სილქ ტვ მომსახურების ინსტალაციის ღირებულება);

9. თბილისში, სილიქ ტვ მომსახურების ინსტალაციისას (მათ შორის, დამატებითი STB დეკოდერის ინსტალაციისას), მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის სილიქ ტვ პაკეტი აქვს აბონენტს შერჩეული, ყველა შემთხვევაში მოხდება "YOUTUBE" მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის ინსტალაცია; აღნიშნული ტიპის დეკოდერის ინსტალაცია მოხდება სილიქ ტვ მომსახურების ინსტალაციისთვის დადგენილ სტანდარტულ ფასად/პირობებით; ამასთან, აბონენტები რომლებიც სარგებლობენ (ან გაიაქტიურებენ) სილიქ+ აქციის პაკეტით და სარგებლობაში აქვთ ისეთი STB დეკოდერი, რომელსაც არ აქვს "YOUTUBE" მხარდაჭერა, ასეთი (1 ცალი) დეკოდერის YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერით ჩანაცვლებისას აბონენტს არ დაერიცხება დეკოდერის ინსტალაციის სტანდარტული გადასახდელი;
10. რეგიონებში, სილიქ ტვ მომსახურების ინსტალაციისას (მათ შორის, დამატებითი STB დეკოდერის ინსტალაციისას) YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის ინსტალაცია მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს სილიქ ტვ მომსახურებაზე რეგისტრაციისას შერჩეული აქვს "სილიქ +" აქციის პაკეტი; თუ აბონენტი არ არის რეგისტრირებული "სილიქ +" აქციის პაკეტზე, მოხდება ისეთი ტიპის დეკოდერის ინსტალაცია, რომელსაც არ გააჩნია YOUTUBE მხარდაჭერა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის ტექნიკურ მარაგში არ იქნება სტანდარტული (არა YOUTUBE მხარდაჭერის მქონე) დეკოდერი; მიუხედავად აღნიშნული პირობისა, რეგიონის აბონენტს არ ეზღუდება უფლება, მოითხოვოს YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერი, რა დროსაც, მომსახურების ინსტალაციის ფასთან ერთად, მეორე და ყოველ მომდევნო YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერზე დაერიცხება ახალი დეკოდერის ინსტალაციის ღირებულება; თუმცა ასეთ შემთხვევაში აბონენტი ვერ შეძლებს აღნიშნული დამატებითი სერვისის YOUTUBE მიღებას, თუმცა შეძლებს მიიღოს 4K არხები; YOUTUBE მხარდაჭერის მქონე დეკოდერზე ვრცელდება STB დეკოდერზე მოქმედი სტანდარტული პირობები და ტარიფები.
11. შეზღუდულია აბონენტის ინიციატივით "YOUTUBE" აპლიკაციის დეაქტივაცია; YOUTUBE აპლიკაციის ავტომატური დეაქტივაცია მოხდება იმ შემთხვევაში თუ აბონენტი დაშლის ორმაგ შეთავაზებას (გარდა ინტერნეტ მომსახურების დაპაუზებისა ორმაგ შეთავაზებაში) ან გადავა ისეთ პაკეტზე, რომელიც არ ითვალისწინებს youtube აპლიკაციას;
12. სს „სილიქნეტის“ მომსახურებების შეზღუდვისას (დავალიანებების გამო) ან სატელევიზიო მომსახურების დაპაუზებისას, ავტომატურად შეიზღუდება YOUTUBE აპლიკაციით სარგებლობა;
13. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს დეკოდერი, რომელსაც გააჩნია YOUTUBE აპლიკაციის ტექნიკური მხარდაჭერა და აბონენტი გააუქმებს ორმაგ შეთავაზებას (რომელზეც ვრცელდებოდა აპლიკაციით სარგებლობის პირობა), აბონენტი არ არის ვალდებული დააბრუნოს / შეცვალოს YOUTUBE აპლიკაციის ტექნიკური მხარდაჭერის მქონე დეკოდერი;
14. სილიქ ტვ პაკეტის ისეთი ცვლილებისას, რომელიც იწვევს ორმაგი შეთავაზების გაუქმებას (დაშლას), ავტომატურად შეიზღუდება YOUTUBE აპლიკაციით სარგებლობა;
15. მისამართის/ტექნოლოგიის ცვლილების და რეინსტალაციის პროცესი განხორციელდება სტანდარტული პირობებით; მომსახურების გაწევის შემდგომ შესაბამისი პაკეტის არსებობის შემთხვევაში აბონენტს შეუძლია მოითხოვოს YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერი;
16. რეგიონების შემთხვევაში მისამართის/ტექნოლოგიის ცვლილების და რეინსტალაციის მომსახურების გაწევის შემდგომ, თუ აბონენტს აქვს შესაბამისი პაკეტი, შეუძლია მოითხოვოს არსებული დეკოდერის YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერით ჩანაცვლება დამატებითი გადასახადის გარეშე.

17. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ სატარიფო ცხრილი

YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB დეკოდერის ინსტალაციის ღირებულება	
აბონენტი	ტარიფი (ლარში)
თბილისსა და რეგიონებში აბონენტისთვის, რომელსაც გააქტიურებული აქვს youtube სერვისი (შესაბამისად სარგებლობს პაკეტით რომელიც ითვალისწინებს youtube სერვისს), 1 ცალი STB-ის ინსტალაციის (ჩანაცვლების) ღირებულება (მველი დეკოდერის დეინსტალაცია / ჩაბარება და ახალი YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB-ს ინსტალაცია)	–
თბილისსა და რეგიონებში აბონენტისთვის, რომელსაც გააქტიურებული აქვს YOUTUBE სერვისი (შესაბამისად სარგებლობს ორმაგი შეთავაზებით), 1 ცალი STB-ის ინსტალაციის (ჩანაცვლების) ღირებულება (მველი დეკოდერის დეინსტალაცია / ჩაბარება და ახალი YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB-ს ინსტალაცია)	–
აბონენტისთვის, რომელსაც გააქტიურებული აქვს youtube სერვისი (შესაბამისად სარგებლობს შესაბამისი ორმაგი შეთავაზების პაკეტით რომელსაც ეკუთვნის youtube აპლიკაცია), მეორე და ყოველი მომდევნო STB-ის ინსტალაციის (ჩანაცვლების) ღირებულება (მველი დეკოდერის დეინსტალაცია / ჩაბარება და ახალი YOUTUBE მხარდაჭერის მქონე STB-ს ინსტალაცია)	50
ოპტიკური სილქ ტვ-ის მიმღები აბონენტისთვის (ორმაგი შეთავაზების იმ პაკეტის აბონენტი რომელსაც ეკუთვნის youtube აპლიკაცია) დეკოდერის ინსტალაციის ღირებულება	50